ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2975413

ნომერი: AR1436715

თარიღი : 01.09.2016

გაცემის თარიღი : 14.12.2016

გაცნობის თარიღი : 14.12.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიტაიას ქუჩა N14 (ყოფ. საბჭოს ქუჩა N64);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბექა ბარჯაძე პ/ნ 01011068649
- თბილისი ფშავის ქ. N 19/21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1436415 (01.09.2016 წ.) განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში ი, ჩუღურეთის რაიონში, ჩიტაიას ქ. №14-ში (ყოფილი საბჭოს ქუჩა №64) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 01.16.01.017.021) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური შეთანხმების და განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენაზე. ასევე საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მიერ.
გაცნობებთ რომ, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთზე „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო"-ს. გადაწყვეტილებით და 2016 წლის 24 ნოემბერის სხდომის ოქმი №57–ის რეკომენდაციების შესაბამისად საკითხმა მიიღო უარყოფითი პასუხი. ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით 2016 წლის 24 ნოემბერის სხდომის ოქმი №46–ის რეკომენდაციების შესაბამისად საკითხმა მიიღო უარყოფითი პასუხი.
გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან სამსახური თქვენს მოთხოვნას ქ.თბილისში, ი, ჩუღურეთის რაიონში, ჩიტაიას ქ. №14-ში (ყოფილი საბჭოს ქუჩა №64) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.16.01.017.021) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური შეთანხმებისა და განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენაზე ვერ დააკმაყოფილებს.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.